საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული საგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/5708
25/08/2021

5708-09-2-202108250942

"ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი"
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
სსიპ. „ციფრული მმართველობის სააგენტო“-ს
ქალბატონ ლია თოდუას
ელფოსტა: liatodua@gmail.com

ქალბატონო ლია,

თქვენი 2021 წლის 15 ივლისის №16446 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სპრედების სანტეს, ხევსურულისა და შატილის ნაწარმს, რომელთა ეტიკეტებზე დარღვეულია „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილების მოთხოვნა, კერძოდ კი ამ დადგენილების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სურსათის დასახელება და მითითება სურსათის ნეტო წონის თაობაზე უნდა განთავსდეს ხედვის ერთ არეალში. სამივე პროდუქტს წონა მითითებული აქვს მსხვილად, პროდუქტის ზედა ზედაპირზე, თუმცა სამივე შემთხვევაში იმავე ზედაპირზე პროდუქტის დასახელება მითითებული არ არის.

ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა შ.პ.ს „სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“ საწარმოში, ს/კ 206052206 ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი მე-10 კმ, რომელიც აწარმოებს ,,სანტეს”-ა და ,,ხევსურული”-ს მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სპრედს,. ი.მ „კახაბერ მექოშვილი“ -ს საწარმოში ს/კ35001049544, ფაქტიური მის: ქ.თბილისი, ქიმმარაულის ქუჩა N-5, რომელიც აწარმოებს ,,შატილი“-ს მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სპრედს.

სახელმწიფო კონტროლის დროს დადგინდა: შ.პ.ს „სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“-ის მიერ დამზადებულ სურსათზე დარღვეული იყო ეტიკეტირების წესი კერძოდ „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილების მე-12- მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რის გამოც ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 400 ლარით, მუხლის 74[1] პირველი ნაწილით და დაევალა ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქციის ამოღება და სააგენტოს ინფორმირება.

ი.მ „კახაბერ მექოშვილი“ ს/კ 35001049544, ფაქტიური მის: ქ.თბილისი, ქიძმარაულის ქუჩა N-5; ბიზნესოპერატორი ეწეოდა საქმიანობას ეკონომიკურ საქმინობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე რის გამოც ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 500 ლარით, მუხლის 64 - ნაწილი პირველი. ასევე დარღვეული იყო ეტიკეტირების წესი, „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რის გამოც დაევალა ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქციის ამოღება და სააგენტოს ინფორმირება.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი